საქართველოს კანონი

სამხედრო ორგანოებიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს 2002 წლის 25 დეკემბრის კანონი №1887-სსმI, №3, 17.01.2003წ., მუხ.15
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401
საქართველოს 2024 წლის 3 აპრილის კანონი №4099 – ვებგვერდი, 18.04.2024წ.

თავი პირველი. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირთა წრე

ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო ორგანოებიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი, საქართველოს მოქალაქეობის მქონე შემდეგი პირები:

ა) ოფიცრები, ზევადიან, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურსა და სამხედრო რეზერვის პირველ თანრიგში ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს სამხედრო ძალებში/საქართველოს თავდაცვის ძალებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში, საქართველოს დაზვერვის სამსახურში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატში, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის, წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის მოსამსახურეები და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში;

ბ) სპეციალური წოდების მქონე პირები, რომლებიც მსახურობდნენ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში;

გ) ოფიცრები, მათ შორის, სამხედრო პროკურატურის, ყოფილი სამხედრო ტრიბუნალის, სამხედრო სასამართლოს ოფიცრები, ზევადიან, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ ყოფილი სსრკ-ისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში, შინაგან, სასაზღვრო, სარკინიგზო, სამთავრობო კავშირგაბმულობის, სამოქალაქო თავდაცვის, სამხედრო-სამშენებლო ჯარებში, სახელმწიფო უშიშროების, საგარეო დაზვერვის, სამხედრო იუსტიციის ორგანოებში, სხვა კანონიერ სამხედრო ფორმირებებში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში, და მათი ოჯახის წევრები, თუ ამ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი სხვაგვარად არ არის დადგენილი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით;

დ) პარტიზანები, მოხალისეები, პარტიზანული და მოხალისეთა რაზმების მეთაურები, რომელთა თანამდებობები შეესაბამებოდა ოფიცერთა თანამდებობებს;

ე) მეორე მსოფლიო ომსა და სხვა შეიარაღებულ კონფლიქტებში დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ ან ამ ომსა და კონფლიქტებში მიღებული ჭრილობის, დასახიჩრების, კონტუზიის, სხვა დაავადების შედეგად გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრები;

ვ) გარდაცვლილ სამხედრო პენსიონერთა ოჯახის წევრები;

ზ) სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკები და მათი ოჯახის წევრები – საქართველოსა და ამ სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულებების (შეთანხმებების) საფუძველზე.

საქართველოს 1998 წლის 31 მარტის კანონი №1319-პარლამენტის უწყებანი, №15-16, 30.04.1998წ., გვ.11
საქართველოს 1999 წლის 19 მარტის კანონი №1851-სსმI, №12(19), 06.04.1999წ., მუხ.43
საქართველოს 2002 წლის 22 ივნისის კანონი №1539-სსმI, №21, 12.07.2002წ., მუხ.86
საქართველოს 2002 წლის 25 დეკემბრის კანონი №1887-სსმI, №3, 17.01.2003წ., მუხ.15
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401
საქართველოს 2014 წლის 2 მაისის კანონი №2358 - ვებგვერდი, 16.05.2014წ.
საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3957 – ვებგვერდი, 15.07.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1711 – ვებგვერდი, 14.12.2017წ.
საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3617 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 2 აპრილის კანონი №4398 – ვებგვერდი, 08.04.2019წ.
საქართველოს 2023 წლის 21 სექტემბრის კანონი №3519 – ვებგვერდი, 12.10.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 3 აპრილის კანონი №4099 – ვებგვერდი, 18.04.2024წ.
საქართველოს 2025 წლის 26 ივნისის კანონი №772 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

მუხლი 2. სახელმწიფო კომპენსაციის მიღების საფუძვლები

სახელმწიფო კომპენსაციის მიღების საფუძვლებია:

ა) კანონით დადგენილი ნამსახურობის ვადის ამოწურვა;
ბ) 65 წლის ასაკის მიღწევა;
გ) შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენა;
დ) მარჩენალის გარდაცვალება.
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 3. სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის უფლების რეალიზაცია

1. სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც ამ კანონის თანახმად სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ, სახელმწიფო კომპენსაცია მიეცემათ სამსახურიდან თადარიგში გასვლის ან სამსახურიდან გადადგომის შემდეგ.

2. სამხედრო მოსამსახურეებს შესაძლებლობის შეზღუდვის გამო სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნებათ სამსახურის ხანგრძლივობის მიუხედავად.

3. გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთათვის სახელმწიფო კომპენსაციის ან სახელმწიფო პენსიის დანიშვნის პირობები რეგულირდება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ ან „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონებით.

4. სახელმწიფო კომპენსაცია არ დაენიშნება სასამართლო წესით სამხედრო ან სპეციალურ წოდებაჩამორთმეულ პირებს და მათი ოჯახის წევრებს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი გამართლებული ან რეაბილიტირებული არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 4. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 5. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 6. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 7. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 8. ამ კანონით გათვალისწინებულ სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფა

ამ კანონით გათვალისწინებულ სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრებისათვის სახელმწიფო კომპენსაციებით უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 9. სახელმწიფო კომპენსაციებით უზრუნველყოფის განმახორციელებელი ორგანო

ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ პირთა სახელმწიფო კომპენსაციებით უზრუნველყოფას ახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.
საქართველოს 1999 წლის 19 მარტის კანონი №1851-სსმI, №12(19), 06.04.1999წ., მუხ.43
საქართველოს 2000 წლის 13 დეკემბრის კანონი №691-სსმI, №50, 27.12.2000წ., მუხ.147
საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონი №1819-სსმI, №32, 20.12.2002წ., მუხ.158
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 10. (ამოღებულია)
საქართველოს 1999 წლის 24 დეკემბრის კანონი №91-სსმI, №52(59), 31.12.1999წ., მუხ.253
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

თავი მეორე. სახელმწიფო კომპენსაცია სამხედრო მოსამსახურეთათვის

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 11. სამხედრო მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების განმსაზღვრელი პირობები

სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებათ:

ა) ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღეს აქვთ წელთა ნამსახურობის 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც იძულებით იყვნენ დათხოვნილი 1956 წელს ქართული სამხედრო შენაერთის (დივიზიის) დაშლის დროს და აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 და 10-ზე მეტი კალენდარული წელი და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი; აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების იმ მოსამსახურეებს, რომლებიც შევიდნენ სამხედრო სამსახურში 1991-

დან 1995 წლამდე და დათხოვნილი იქნენ ზღვრული ასაკის გამო, აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი;

ბ) იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო საჭიროების გამო გაწვეულ იქნენ სამხედრო სამსახურში, საპენსიო ასაკის მიღწევის დღისათვის იმყოფებიან სამხედრო სამსახურში და აქვთ საქართველოს სამხედრო ძალებში/თავდაცვის ძალებში წელთა ნამსახურობის 10 წელი;

გ) ყოფილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, შინაგან საქმეთა ორგანოების, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების, სასაზღვრო ჯარებისა და სხვა კანონიერი სამხედრო ფორმირებების სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პენსიონერებს, რომლებიც შემდგომ ჩაირიცხნენ საქართველოს სამხედრო ძალების/საქართველოს თავდაცვის ძალების კადრის სამხედრო სამსახურში, უფროსი ოფიცრების შემადგენლობაში ან უმაღლესი ოფიცრების შემადგენლობაში.

საქართველოს 2002 წლის 22 ივნისის კანონი №1539-სსმI, №21, 12.07.2002წ., მუხ.86
საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონი №1819-სსმI, №32, 20.12.2002წ., მუხ.158
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401
საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3617 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.
საქართველოს 2023 წლის 21 სექტემბრის კანონი №3519 – ვებგვერდი, 12.10.2023წ.

მუხლი 12. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 13. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 14. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 15. (ამოღებულია)
საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონი №1819-სსმI, №32, 20.12.2002წ., მუხ.158
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 16. წელთა ნამსახურობის გაანგარიშება

1. სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისთვის წელთა ნამსახურობაში ჩაითვლება: სამხედრო სამსახური; პროკურატურის ორგანოებში სამსახური; შინაგან საქმეთა ორგანოებსა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში სამსახური; ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატში სამსახური; საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში სამსახური; სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში სამსახური; საქართველოს დაზვერვის სამსახურში სამსახური; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში სამსახური; საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სახელმწიფო სპეციალური წოდებით სამსახური; პარტიზანულ რაზმებსა და შენაერთებში სამსახური; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში მუშაობის პერიოდი – სამხედრო სამსახური ან შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში კადრში დატოვებით; ტყვეობაში ყოფნის პერიოდი, თუ ტყვემ არ ჩაიდინა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; სასჯელის მოხდისა და პატიმრობის პერიოდი, თუ სამხედრო მოსამსახურე, რიგითი ან უფროსი შემადგენლობის პირი უსაფუძვლოდ იყო მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან რეპრესირებული.

2. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეს წელთა ნამსახურობაში ჩაეთვლება სამხედრო სამსახურში, შინაგან საქმეთა ორგანოებში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში, საქართველოს დაზვერვის სამსახურში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო სპეციალური წოდებით ჩარიცხვამდე სამოქალაქო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდი. 6 წლის ზემოთ სწავლის 1 წელი 6 თვედ ჩაითვლება.

2^1. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემიდან დათხოვნილ პირს წელთა ნამსახურობაში ჩაეთვლება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული ნამსახურობა.

3. წელთა ნამსახურობაში ჩაითვლება განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის პერიოდი შეღავათიანი გაანგარიშებით.

4. წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება ხდება სამხედრო მოსამსახურის სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან იმ დღემდე, როდესაც იგი ბრძანების თანახმად თადარიგში იქნა დათხოვნილი ან გადადგა სამსახურიდან.

5. ამ კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილ პირთათვის პენსიის დასანიშნად წელთა

ნამსახურობის გამოანგარიშების წესს განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამხედრო მოსამსახურის სამოქალაქო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდი (გარდა ყოფილი სსრ კავშირისა და საქართველოს რესპუბლიკის მილიციის უმაღლეს სკოლებში, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის სასწავლებელში, სამხედრო სასწავლებელში, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემიაში, საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის სამხედრო სასწავლებელში სწავლის (იუნკერი, კურსანტი, მსმენელი, სტუდენტი) პერიოდისა, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურის სასწავლებლად საზღვარგარეთ გრძელვადიანი მივლინებით ყოფნის პერიოდისა) და ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათიანი გაანგარიშებით განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის პერიოდი საერთო წელთა ნამსახურობაში ჩაითვლება მხოლოდ სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშების მიზნებისთვის და არ ჩაითვლება ამ კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრულ კალენდარულ წელთა ნამსახურობაში.

საქართველოს 1999 წლის 19 მარტის კანონი №1851-სსმI, №12(19), 06.04.1999წ., მუხ.43
საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1680-სსმI, №35, 04.07.2005წ., მუხ.212
საქართველოს 2015 წლის 1 მაისის კანონი №3526 - ვებგვერდი, 18.05.2015წ.
საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3957 – ვებგვერდი, 15.07.2015წ.
საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3124 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.
საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4098 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 2 აპრილის კანონი №4398 – ვებგვერდი, 08.04.2019წ.
საქართველოს 2021 წლის 9 ივნისის კანონი №612 – ვებგვერდი,14.06.2021წ.
საქართველოს 2022 წლის 7 სექტემბის კანონი №1728 – ვებგვერდი, 21.09.2022წ.
საქართველოს 2023 წლის 21 სექტემბრის კანონი №3519 – ვებგვერდი, 12.10.2023წ.
საქართველოს 2023 წლის 16 ნოემბრის კანონი №3702 – ვებგვერდი, 05.12.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 3 აპრილის კანონი №4099 – ვებგვერდი, 18.04.2024წ.
საქართველოს 2025 წლის 26 ივნისის კანონი №772 – ვებგვერდი, 27.06.2025წ.

თავი მესამე. სახელმწიფო კომპენსაცია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სამხედრო მოსამსახურეთათვის

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 17. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სამხედრო მოსამსახურეთათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის პირობები

ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს შეზღუდული შესაძლებლობის გამო სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნებათ, თუ მათ შესაძლებლობა შეეზღუდათ სამხედრო ან ოპერატიული სამსახურის პერიოდში, ან არა უგვიანეს სამი თვისა სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, ან ამ ვადაზე უფრო გვიან, მაგრამ სამსახურის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების გამო.

საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონი №1819-სსმI, №32, 20.12.2002წ., მუხ.158
საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კანონი №2561-სსმI, №24, 20.08.2003წ., მუხ.182
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 18. (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 19. (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 20. (ამოღებულია)

საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონი №1819-სსმI, №32, 20.12.2002წ., მუხ.158
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 21. (ამოღებულია)

საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონი №1819-სსმI, №32, 20.12.2002წ., მუხ.158
საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კანონი №2561-სსმI, №24, 20.08.2003წ., მუხ.182
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 22. (ამოღებულია)

საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონი №1819-სსმI, №32, 20.12.2002წ., მუხ.158
საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კანონი №2561-სსმI, №24, 20.08.2003წ., მუხ.182
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 23. (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 24. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

თავი მეოთხე. გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრთა სახელმწიფო კომპენსაცია

მუხლი 25. გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრთათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის პირობები

1. ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნულ მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნებათ, თუ სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა ან გარდაიცვალა სამხედრო სამსახურის დროს, ან არა უგვიანეს სამი თვისა სამხედრო სამსახურიდან გასვლის შემდეგ, ან ამ ვადაზე უფრო გვიან სხვა დაავადებით, რომელიც სამხედრო მოსამსახურემ მიიღო სამხედრო სამსახურის ან ოპერატიული მუშაობის დროს. ამ უფლებით სარგებლობენ ყოფილი სამხედრო ტყვეების ოჯახის წევრები, რომლებიც ნებაყოფლობით არ ჩაბარდნენ ტყვედ და ტყვეობაში ყოფნის დროს არ ჩაიდინეს სამშობლოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება.

2. სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე საომარი მოქმედების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო მოსამსახურის ოჯახი უთანაბრდება ომში დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახს.

საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონი №1819-სსმI, №32, 20.12.2002წ., მუხ.158
საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კანონი №2561-სსმI, №24, 20.08.2003წ., მუხ.182

მუხლი 26. სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების გამო სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე ოჯახის წევრები

სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების გამო სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ მის:

ა) შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე;

ბ) შრომისუუნარო მეუღლეს, მშობლებს და შვილებს.

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 27. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 28. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 29. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 30. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 31. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 32. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 33. (ამოღებულია)
საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონი №1819-სსმI, №32, 20.12.2002წ., მუხ.158
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 34. (ამოღებულია)
საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კანონი №2561-სსმI, №24, 20.08.2003წ., მუხ.182
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 35. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 36. (ამოღებულია)
საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კანონი №2561-სსმI, №24, 20.08.2003წ., მუხ.182
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 37. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 38. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 39. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

თავი მეხუთე (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 40. (ამოღებულია).
საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონი №1819-სსმI, №32, 20.12.2002წ., მუხ.158
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 41. (ამოღებულია).
საქართველოს 1999 წლის 19 მარტის კანონი №1851-სსმI, №12(19), 06.04.1999წ., მუხ.43
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 42. (ამოღებულია).
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 43. (ამოღებულია).
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 44. (ამოღებულია).
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 45. (ამოღებულია).
საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონი №1819-სსმI, №32, 20.12.2002წ., მუხ.158
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

თავი მეექვსე. პენსიის დანიშვნა და გაცემა

მუხლი 46.(ამოღებულია)
საქართველოს 1999 წლის 19 მარტის კანონი №1851-სსმI, №12(19), 06.04.1999წ., მუხ.43
საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონი №1819-სსმI, №32, 20.12.2002წ., მუხ.158

მუხლი 47. (ამოღებულია)
საქართველოს 1999 წლის 19 მარტის კანონი №1851-სსმI, №12(19), 06.04.1999წ., მუხ.43
საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონი №1819-სსმI, №32, 20.12.2002წ., მუხ.158
საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №810-სსმI, №39, 25.12.2004წ., მუხ.189
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 48. (ამოღებულია)
საქართველოს 1999 წლის 24 დეკემბრის კანონი №91-სსმI, №52(59), 31.12.1999წ., მუხ.253
საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონი №1819-სსმI, №32, 20.12.2002წ., მუხ.158
საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კანონი №2561-სსმI, №24, 20.08.2003წ., მუხ.182
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 49. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 50. (ამოღებულია)
საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონი №1819-სსმI, №32, 20.12.2002წ., მუხ.158
საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კანონი №2561-სსმI, №24, 20.08.2003წ., მუხ.182
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 51. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 52. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 53. (ამოღებულია)
თუკი სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირი დაბრუნდება.

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 54. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 55. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონი №1336-სსმI, №22, 18.05.2005წ., მუხ.146
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 56. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 57. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 58. (ამოღებულია)
საქართველოს 1999 წლის 19 მარტის კანონი №1851-სსმI, №12(19), 06.04.1999წ., მუხ.43
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 59. სამსახურებიდან დათხოვნისას სახელმწიფო კომპენსაციის დასანიშნად ზოგიერთი კატეგორიის პირთათვის წელთა ნამსახურობის ჩათვლა

1. სამხედრო პროკურატურისა და სამხედრო სასამართლოების ოფიცრებს, აგრეთვე საქართველოს პროკურატურის ორგანოების სხვა თანამშრომლებს ადრინდელი წელთა ნამსახურობა შეიარაღებულ ძალებში, საქართველოს თავდაცვის ძალებსა და სამართალდამცავ ორგანოებში (პოლიციის სამსახურში) ჩაეთვლებათ საერთო წელთა ნამსახურობაში. სამსახურიდან დათხოვნისას ისინი თავიანთი სტატუსით უთანაბრდებიან სამხედრო მოსამსახურე ოფიცრებსა და პოლიციის მუშაკებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით ასევე სარგებლობენ საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ზევადიანი და ხელშეკრულებით (კონტრაქტით) სამსახურგავლილი პირები, თუ ისინი გადაყვანილ იქნენ ზემოთ აღნიშნული ერთი უწყებიდან მეორეში.

საქართველოს 1999 წლის 19 მარტის კანონი №1851-სსმI, №12(19), 06.04.1999წ., მუხ.43
საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №810-სსმI, №39, 25.12.2004წ., მუხ.189
საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1680-სსმI, №35, 04.07.2005წ., მუხ.212
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401
საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3957 – ვებგვერდი, 15.07.2015წ.
საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3617 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.

თავი მეშვიდე (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 60. (ამოღებულია)
საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კანონი №2561-სსმI, №24, 20.08.2003წ., მუხ.182
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 61. (ამოღებულია)
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 62. (ამოღებულია)
საქართველოს 1999 წლის 19 მარტის კანონი №1851-სსმI, №12(19), 06.04.1999წ., მუხ.43
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

თავი მერვე (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

მუხლი 63. (ამოღებულია)
საქართველოს 2003 წლის 31 დეკემბრის კანონი №3223-სსმI, №33, 31.12.3003წ., მუხ.254
საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონი №853-სსმI, №42, 31.12.2004წ., მუხ.225
საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის კანონი №1671-სსმI, №35, 04.07. 2005წ., მუხ.210
საქართველოს 2005 წლის 28 ოქტომბრის კანონი №202-სსმI, №47, 21.11.2005წ., მუხ.313
საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი №2459-სსმI, №56, 28.12.2005წ., მუხ.401

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე
თბილისი,

1996 წლის 16 ოქტომბერი.
№430–Iს